26.12.14 № 12/11981-13

თბილისის არქიტექტურა

№

შპს „იბეროტელი“–ს დირექტორს გრიგორ ჯაზიშვილს
მის: ქ. თბილისი, ტაბიძის ქ. #4
ტელ: 599559499

თქვენი 09.12.14 12/11981–13 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2014 წლის 11 დეკემბრის #45 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის #2406 19.12.2014წ. ბრძანებით მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0.9 და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=6,7;

დანართი: “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2014 წლის 11 დეკემბრის #45 სხდომის ოქმიდან ამონარიდს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #2406 19.12.2014წ;

ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების
პირობების დადგენის განყოფილების უფროსი ნ. გვენცაძე

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.|+995 32| 272 22 22 ფაქს.|+995 32| 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

განკარგულება №2406

„19" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ქ. №4–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის", „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 11 დეკემბრის სხდომის №45 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ქ. №4–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,9, კ2=6,7.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი". ტ/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE11LB0125152101629191.

3.დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია